# ხელშეკრულება № 146

# ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით

19 დეკემბერი 2018 წ.

ქ. ლაგოდეხი

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ერთის მხრივ, ა.ა.ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მოვ. შემსრულებელი თამარ ბაღაშვილი (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, ი.მ დავით ალადაშვილს შემდგომში (მიმწოდებელი) შორის პირადი №25001013683

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სოფელ თელის საბავშვო ბაღისთვის წყლის საქაჩი ტვინი-მატორის და მასთან დაკავშირებული ნაწილების (კოდი 42100000) შესყიდვა.

## 2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. შესყიდული საქონლის საერთო ღირებულებაა 164 /ას სამოცდაოთხი/ ლარი.

2.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, საქართველოს ეროვნული ვალუტით.

## 3. შესყიდვების ობიექტის მიწოდების პირობები

3.1. საქონლის შესყიდვის ვადაა 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2019 წლის 31 იანვარი.

3.2. საქონლის მიღება გაფორმდება სასაქონლო ზედნადებით და მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

3.3 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

3.4. თუ რაიმე, წინასწარ გაუთვალისწინებელი, მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

3.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 4. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

4.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია:

-მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივან უნაკლო ნივთი.

– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

– ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს (წერილობით) შემსყიდველი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.

– მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა პასუხობდეს ხელშეკრულების პირობებს და აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

–წუნის აღმოჩენის შემთხვევაში საკუთარი ხარჯით აღმოფხვრას იგი.

4.3. შემსყიდველი ვალდებულია:

– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

– ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიღებისას საქმის კურსში ჩააყენოს (წერილობით) მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.

–ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება.

–რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყონებლივ აცნობოს მიმწოდებელს წერილობითი ფორმით.

4.4. შემსყიდველს უფლება აქვს:

– განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

– თუ მიმწოდებელი წუნის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ ასრულებს თავის ვალდებულებას, მიმწოდებლის ხარჯზე ახორციელებს შესაბამის სამუშაოებს.

4.5. შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

4.6. მიმწოდებელს არ აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება–მოვალეობანი.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულებების შეუსრულებლობის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.15%–ის ოდენობით.

5.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5.4. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

## 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. ხელშეკრულების დამდები ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

6.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა მოთხოვნით. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება წერილობით

6.3. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

## 7. დავების გადაწყვეტის წესი

7.1. ამ ხელშეკრულების დროს წარმოშობილი დავები და უთანხმოებანი გადაიჭრება ურთიერთმოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 8. დასკვნითი დებულება

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან.

8.2. ამ ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ პირობით, თუ ის შესრულებულია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ. ამ ხელშეკრულების დანართები მის განუყოფელ ნაწილს შეადგენენ.

8.3. ეს ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარი იდენტურია და აქვს თანაბარი ძალა. ორივე მხარეს აქვს ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი.

## მ ხ ა რ ე თ ა   რ ე კ ვ ი ზ ი ტ ე ბ ი

| „დამკვეთი" | „შემსრულებელი" |
|---|---|
| ა.ა.ი.პ.ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის | მც. მეწ. „დავით ალადაშვილი" |
| სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა | ქ. ლაგოდეხი |
| გაერთიანება | ლიბერთი ბანკის ლაგოდეხის ფილიალი |
| ქ. ლაგოდეხი 26 მაისის ქ. №23 | ბანკის LBRTGE22 |
| ,,სახელმწიფო ხაზინა" კოდი TRESGE22 | |
| ანგ. № GE24NB0330100200165022 | ანგ. № GE63LB0112124249450000 |
| საიდ. კოდი 233146798 | |
| საქ. ქ. 040101 სკოლამდელი განათლება | |
| დირექტორის მოვ. შემსრ: ____ თ. ბაღაშვილი | ხელმოწერა: ____ /დ. ალადაშვილი/ |